1 თებერვალი

რიგითი IV კვირა [IV], მწ

(19.I) წმ. ღიხსი ანტონ მესვეტე, მახტომყოფელი, VIს

2022 სამშაბათი

2მეფ 18,9-10.14.21ა.24-25.30-19,3; ფს 85; მარ 5,21-43

ნუ გეშინია, ოღონდ გწამდეს მარ 5,36

იესოსთვის არ არსებობს მდგომარეობა დადებითი შედეგის გარეშე. დღეს ამ სიტყვით იგი გოგონას მამას მიმართავს, როცა ის შვილის გარდაცვალების ამბავს ღებულობს. ახლა შემოდის იესო მის სახლში – სიცოცხლე, კურნება, ხსნა, მშვიდობა ყველასთვის. და გოგონა გაუგონებს, დაჰყვება იესოს ხმას!

2 თებერვალი

უფლის ტაძრად წარდგენა (მირქმა), დ, [ს], თ

2022 ოთხშაბათი

მალ 3,1-4; ან ებრ 2,14-18; ფს 23; ლკ 2,22-40

ბერ–მონაზონთა დღე

სული წმიდა იყო მასზე ლკ 2,25

საუბარია სიმეონზე, კაცზე, რომელსაც წილად ხვდა ყრმა იესოს მირქმა, როცა მისმა მშობლებმა, უფლის რჯულის თანახმად, ტაძრად მიიყვანეს ის. დღეს, მირქმისა და შეხვედრის დღესასწაულზე, სასოებით ვლოცულობთ: „მოდი, სულო წმიდაო, ჩვენც მოგვფინე ნათელი, რომ დავინახოთ და შევხვდეთ იესოს!

3 თებერვალი

2022

რიგითი IV კვირა [IV], მწ

წმ. ბღაზი, ეპ. და წამ. +IVს.;
წმ. ანსგარი (ოსკარი), ეპ. +865.

ხუთშაბათი

3მეფ 2,1-4.10-12; ფს: 1ნეშტ 29,10-12; მარ 6,7-13

ფიბრძანა მათ, არაფერი წაეღოთ გზაში, გარდა ხელჯოხისა მარ 6,8

იესო თავის მოციქულებს აგზავნის მისიაზე, როგორც მამა ღმერთისა და მისი განგებულების რწმენის მოწმეებს. ამიტომ ისინი წავლენ ადამიანური აღჭურვილობის გარეშე, ხალასი სიცოცხლით, იმათ სამსახურში, ვისაც შეხვდებიან. ამგვარად, მამისადმი სრული მინდობით, ისინი გახდებიან სანდო მოწმეები: უფრო ადვილი იქნება მათი სიტყვის დაჯერება.

4 თებერვალი

2022 პარასკევი

ზირ 47,2-11(2-13); ფს 17; მარ 6,14-29

დავითი მთელი გულით უგალობა უფალს
და შეიყვარა თავისი შემოქმედი ზირ 47,8

ბენ ზირა ხოტბას ასხამს დავით მეფეს, რომელსაც მიაკუთვნებენ ფსალმუნების დიდი ნაწილის ავტორობას, ფსალმუნებისა, რომლებითაც დღესაც ვლოცულობთ. მართლაც, მან მთელი გულით იზრუნა ტაძრის ლიტურგიაზე, დააწესა მგალობელთა გუნდი, მუსიკალური ინსტრუმენტებით აღჭურვა ისინი და სადღესასწაულობა შემატა ღვთისმსახურებას. მან მთელი ძალით შეიყვარა თავისი უფალი და სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო, როცა გიგანტური გოლიათის წინააღმდეგ გავიდა საბრძოლველად. მისი თავმდაბლობა იყო კარი ღვთიური მიტევებისათვის.

5 თებერვალი

რიგითი IV კვირა [IV]

წმ. აგათა ქალწ. და წამებ., +≈250, (მ), წ

2022 შაბათი

3მეფ 3,4-13; ფს 118; მარ 6,30-34

წამოდით მარტო თქვენ უდაბურ ადგილას და მცირედ მოისვენეთ მარ 6,31

როგორც მაშინ, დღესაც იესოს მოწაფეებს სჭირდებათ მასთან ერთად განმარტოება. როგორც მაშინ, დღესაც... დრო არასოდესაა საკმარისი, ვინაიდან უამრავი გადაუდებელი საქმეა გასაკეთებელი. მაგრამ ჩვენ უნდა გამოვნახოთ ეს დრო: როგორც თავად იესომ მოიცალა დილაადრიან კაპერნაუმში, შემდეგ კი თაბორის მთაზე ცალკე სალოცავად და ზეთისხილის ბაღში ძალების მოსაკრებად.

6 თებერვალი

რიგითი V კვირადღე, «გ», [I], მწ

2022 კვირა

ეს 6,1-2.3-8; ფს 137; 1კორ 15,1-11; ლკ 5,1-11

გამშორდი, უფალო,
ცოდვილი კაცი ვარ ლკ 5,8

იესოს ახალი სწავლება პეტრეში ნდობას აღ-ძრავს. თევზის სასწაულებრივი ჭერა, ამ სანდო მორჩილების ნაყოფი, პეტრეს უკეთ დაანახებს იესოსაც და საკუთარ თავსაც. თუმცა, იესო როდი შორდება ცოდვილებს, რომლებიც მის წინაშე იჩოქებენ: ის კიდევ უფრო იზიდავს მათ, რათა თავის ძვირფას თანამშრომლებად აქციოს.

7 თებერვალი

2022 ოხშაბათი

3მეფ 8,1-7.9-13; ფს 131; მარ 6,53-56

ვინც კი ეხებოდა, გადარჩა მარ 6,56

„ვინც მას შეეხო...“ „განიკურნა“, ბუნებრივი იქნებოდა დასკვნა. არადა, სახარებაში ნათქვამია არა "იკურნებოდა", არამედ "დაიხსნებოდა". იესო არ კმაყოფილდება ჩვენი განკურნებით და არც კი ჩქარობს ამას. როდესაც ვუახლოვდებით მას, როცა, უპირველეს ყოვლისა, საეკლესიო საიდუმლოებში „ვეხებით“ მას, ის გვიხსნის: ის განგვაცდევინებს სიყვარულის სიხარულს, სრულებით რომ უყვარხარ და გაძლევს ამ სიყვარულში ზრდის, საკუთარი თავის ძღვნად გაცემის შესაძლებლობას. ავადმყოფობის დროსაც კი.

(26.I) წმ. დავით აღმაშენებელი, XI-XIIსს;/წმ. იეhონიმე ემიღიანი, +1537;/წმ. იოსეფინა ბახიტა, ქაღწ., +1947

სამშაბათი

3მეფ 8,22-23.27-30; ფს 83; მარ 7,1-13

ეს ხალხი ჰპატივს მცემს ბაგეებით,
მათი გული კი შორსაა ჩემგან მარ 7,6

იესო, შენ სიღრმისეულად იცნობ ყველას გულს, ხედავ, ვცხოვრობთ თუ არა მამის სიყვარულის შესაბამისად, თუ ჩვენ მიერ დადგენილი წესების მიხედვით, ჩვენი კეთილდღეობისთვის თუ კარგი შთაბეჭდილების მოსახდენად. გთხოვ განმწმიდე ყოველგვარი თვალთმაქცობისაგან, მომეცი ახალი გული!

9 თებერვალი

2022 ოთხშაბათი

3მეფ 10,1-10; ფს 36; მარ 7,14-23

ადამიანის გულიდან გამოდის
ბოროტი ზრახვანი მარ 7,21

იესოს სურს დაგვიცვას იმ არასწორი აზროვნებისგან, რომელიც დღესაც გვხვდება. მისი თქმით, საკვები არ არის ის, რაც ბილწავს ადამიანს. ის, რაც ვლინდება გულში, როგორც ბოროტების განზრახვა, ეს ანგრევს საკუთარ და სხვის ცხოვრებას.
მოდი, უფალო იესო, მიხსენი!

ხუთშაბათი

3მეფ 11,4-13; ფს 105; მარ 7,24-30

მაგ სიტყვისათვის წადი, გასულია ეშმაკი შენი ასულისაგან მარ 7,29

იმ საწყალი დედის სიტყვა, რომელიც ქალიშვილის მდგომარეობას განიცდიდა – სიტყვა, რომელიც ასე მოეწონა იესოს – იყო დიდი ნდობის, თავმდაბლობისა და ქმედითი სიყვარულის სიტყვა. როდესაც ჩვენი ცხოვრება აცოცხლებს თავმდაბლობას, თუნდაც უბრალო და ფარული, ის განდევნის ადამიანის მტერს: სიმდაბლე ძალზე ძვირფასია მამის თვალში!

11 თებერვალი

2022

რიგითი V კვირა [I], მწ

(29.I) წმ. აშოტ დიდი კუხაპაღატი, წამებ., +826;
ღუჩდის ღვთისმშობელი (უმანკო ჩასახება)1858

პარასკევი

3მეფ 11,29-32; 12,19; ფს 80; მარ 7,31-37

სნეულთა დღე

ყოველივეს სასიკეთოდ აკეთებს: ყრუებს ასმენინებს და მუნჯებს ალაპარაკებს

მარ 7,37

უბიწო დედაო, შენ ლურდში, მაგრამ ასევე ჩვენს სახლებში, სადაც გვიყვარხარ და ვლოცულობთ შენდამი, მონაწილეობ შენი ძის საქმეში, რომელმაც „ყველაფერი სასიკეთოდ გააკეთა“: აბრუნებ შენს შვილებს მამასთან და ძმებთან ზიარებაში. მადლობის ნიშნად გიძღვნი ჩემს ძალისხმევას: მოვუსმენ იესოს ხმას ძმების მეშვეობით და ვეტყვი მათ მხოლოდ მისგან მომდინარე სიტყვებს, მისი სუნთქვისგან, რაც არის სიყვარული.

12 თებერვალი

2022 შაბათი

3მეფ 12,26-32; 13,33-34; ფს 105; მარ 8,1-10

რამდენი ჰურრი გაქვთ? მარ 8,5

იესოს ახარებს, როცა მისგან სულიერ საკვებს ელიან და არც ხორციელი მოთხოვნილებებია მისთვის სულ ერთი. მიანდობს ამას თავის მოწაფეებს და ავალებს მათ იზრუნონ როგორც პირველზე, ასევე მეორეზე. გმადლობ, იესო, მწყემსო კეთილო: შენთან მყოფთ არაფერი მოაკლდებათ.

13 თებერვალი

რიგითი VI კვირადღე, «გ», [II], მწ

2022 კვირა

იერ 17,5-8; ფს 1; 1კორ 15,12.16-20; ლკ 6,17.20-26

ნეტარნი ხართ, გლახაკნი, ვინაიდან თქვენია ღვთის სასუფეველი ლკ 6,20

იესო, შენ ელაპარაკები შენს მოწაფეებს, რომლებმაც შენთან დაიწყეს ცხოვრება: მათ მიატოვეს ყველაფერი, ქონება და საყვარელი ადამიანები და გამოგყვნენ. ხედავ მათ ღარიბებს, მაგრამ აცხადებ „ნეტარებად“: შენთან ახლოს და შენთან ერთად იღებენ მამის ალერსსა და სიყვარულის ნიჭს.
შენც, მეც იესოს ვეკუთვნით: გულით ღარიბნი და ზეციერი მამის სიყვარულით მდიდარნი! ჩვენ "ნეტარნი" ვართ!

14 თებერვალი

2022

წმმ. კირილე, ბერი (+859) და
მეთოდი, ეპისკოპოსი (+885)
ევროპის მფარველნი, დ, [ს] თ

ოჩშაბათი

საქმ 13,46-49; ფს 116; ლკ 10,1-9

ღვთის სასუფეველი მოგიახლოვდათ ლკ 10,9

ჩვენმა მფარველმა წმიდანებმა კირილემ და მეთოდემ, ნამდვილად შეყვარებულებმა იესოზე და მის სიტყვაზე – რომელიც აცოცხლებს მკვდრებს და ათავისუფლებს პატიმრებს – მიაგნეს გზას, რათა ეს უზარმაზარი საჩუქარი ბევრისთვის ხელმისაწვდომი გაეხადათ.
უფლის ძლიერო მეგობრებო, ახლა წმიდა ზეციდან დაგვეხმარეთ ევროპის ხალხებს, სათითაოდ და ყველას ერთად, ვიყოთ სულიწმიდის მადლით, ჯერ კიდევ სიბნელეში ჩაძირულ ძმათათვის სიხარულით სავსე და ერთგული მსახურები!

15 თებერვალი

რიგითი VI კვირა [II], მწ

2022 სამშაბათი

იაკ 1,12-18; ფს 93; მარ 8,14-21

ნუ რავინ იტყვის განსაცდელში: ღვთისგან ვიცდებიო- იაკ 1,13

გმადლობთ, წმიდა იაკობ, იესოს მოციქულო; შენ იცი, რომ მან თავად განიცადა პირდაპირ ეშმაკის ცდუნება უდაბნოში და, ირიბად, ადამიანთა მეშვეობით. დაგვეხმარე, არ დავყვეთ ცდუნებას, რომელსაც სურს დაგვაშოროს მამისაგან და შენი მოძღვრებისგან – იმ სიკეთისგან, გულებს რომ მშვიდობით გვივსებს.

16 თებერვალი

რიგითი VI კვირა [II], მწ

2022 ოთხშაბათი

იაკ 1,19-27; ფს 14; მარ 8,22-26

იყავით სიტყვის შემსრულებელნი იაკ 1,22

იესოს მოსმენა ადვილიცაა და კარგიც. ნამდვილი მოსმენა სიყვარულითაა შესაძლებელი და ამავე სიყვარულით იქცევა მოსმენილის გაგონებად და დაყოლად. ამიტომაც მოსმენა და მორჩილება სინონიმებია, ერთი სიყვარულის არსებითი მხარეები.

17 თებერვალი

2022

რიგითი VI კვირა [II] მწ

(4.II) წმ. ღიხსი ევაგჩე მღვიმეღი VIს, მონაზ.;
ნ. ქაღწ. მახიამის მსახუჯთა ოჩდენის 7 დამფუძნებეღნი

ხუთშაბათი

იაკ 2,1-9; ფს 33; მარ 8,27-33

მ. სიმონ კლიმაშევსკის გახსენება (+2006)

რას ამბობს ხალხი, ვინა ვარ მე? მარ 8,27

ხალხი ამბობდა, რომ იესო იყო მკვდრეთით აღმდგარი იოანე ნათლისმცემელი. არადა მას ხომ ღიად ჰქონდა ნათქვამი, რომ ის არ იყო ქრისტე; ხალხი ამბობდა აგრეთვე, რომ ელიაააო – ხალხური რწმენის მიხედვით, ის ქრისტემდე უნდა გამოჩენილიყო –; ამბობდნენ, რომ წინასწარმეტყველი იყო, როგორც თქვა ორმა ემაუსელმა: "დიდი წინასწარმეტყველი სიტყვითა და საქმით". ამ დაბნეულობის წინაშე იესო ამიერიდან უფრო მკაფიოდ ისაუბრებს თავისი ვნების, სიკვდილისა და აღდგომის შესახებ. მხოლოდ ის, ვინც რწმენის თვალებს გაახელს ამ რეალობაზე, გაიგებს მის მესიანურ საიდუმლოს.

18 თებერვალი

2022 პარასკევი

იაკ 2,14-24.26; ფს 111; მარ 8,34-9,1

გიჩვენებ ჩემს რწმენას ჩემს საქმეთაგან

იაკ 2,18

აი, მაგალითები იმისა, თუ როგორ აჩვენა ქმედებამ რწმენა. იყო ბრძანება, ყველა სახლში დარჩენილიყო: ზოგი დაემორჩილა მას სამოქალაქო შეგნების გამო, ზოგი კი, როგორც ღვთის ნებას. ერთი ქალი, რომელიც სახლში დარჩა უმუშევარი, ვინაიდან მისი დაწესებულება დაიკეტა, მზად იყო ავადმყოფებს დახმარებოდა. მადლობა, უფალო იესო!

შაბათი

იაკ 3,1-10; ფს 11; მარ 9,2-13

რაბი, კარგია ჩვენთვის აქ ყოფნა მარ 9,5

იესომ პეტრე, იაკობი და იოანე წაიყვანა თან მთაზე. მისი სახე მზეზე უფრო კაშკაშა გახდა და სამოსი – თოვლზე სპეტაკი. გმადლობთ, იესო, რადგან ლოცვის დროს აჩვენე რომ ვინც შენ გხედავდა, ღმერთს ხედავდა. გმადლობთ შენი სიყვარულის ამ ტკბილი წუთებისთვის. გმადლობთ შენთან, აღმდგართან შეხვედრის გამოცდილებისათვის, რომელიც გაძლევს ძალას და მოტივაციას, რომ ყველაზე რთულ განსაცდელშიც კი დაგამოწმოთ.

20 თებერვალი

რიგითი VII კვირადღე, «გ», [III], მწ

2022 კვირა

1მეფ 26,2.7-9.12-13.22-23; ფს 102; 1კორ 15,45-49; ლკ 6,27-38

ნუ განიკითხავთ და
არ განიკითხებით ლკ 6,37

ადამიანზე აუგის თქმა და მით უმეტეს, მასზე ცუდის ფიქრი, ძალზე მარტივია. იესო გვირჩევს, ხელი ავიღოთ ამისგან, რადგან მხოლოდ მან იცის, როგორ დაინახოს ის ღრმა მიზეზები, რამაც აიძულა ეს ძმა ასე მოქცეულიყო. შეიძლება მას უთხრეს ამის გაკეთება, ან უნდოდა კარგი, მაგრამ ვერ შეძლო... მსჯავრი მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის! გმადლობთ, მამაო, რომ მას, ვინც ცუდად არ განიკითხავს მოყვასს, პატიებ ცოდვას.

21 თებერვალი

2022

რიგითი VII კვირა [III] მწ

წმ. პეტრე დამიანი, ეპ. და ეკდ. მოძ. +1072

ოხშაბათი

იაკ 3,13-18; ფს 18; მარ 9,14-29

როგორც კი სულმა დაინახა იესო, დაანარცხა ყმაწვილი კრუნჩხვებით მარ 9,20

ადამიანში შესული ავი სულები იესოს წინაშე მხილებულნი არიან და თავს საფრთხეში გრძნობენ. გმადლობთ, იესო, რომ მოხვედი, რათა მათგან გაგვათავისუფლო. გმადლობთ, რომ მეც გამათავისუფლე შენი ეკლესიის ევქარისტიაში ყოფნით.

22 თებერვალი

წმ. პეტრე მოციქულის საყდარი, დ, [ს], თ

2022 სამშაბათი

1პეტ 5,1-4; ფს 22; მთ 16,13-19

მოგცემ შენ ცათა სასუფევლის გასაღებებს მთ 16,19

იესომ ამ სიტყვებით მიმართა პეტრეს, როდესაც მან აღიარა ჭეშმარიტი რწმენა: „შენ ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღმრთისა“. ეს გასაღებები ახლა პეტრეს მემკვიდრის ხელშია, რომელიც იყენებს მათ იესოსადმი ჩვენი რწმენის გასაძლიერებლად და დასაცავად.

23 თებერვალი

რიგითი VII კვირა [III] წ

წმ. პოლიკარპე, ეპ. და წამ., +155

(10.II) წმ. ღიხსი იოანე ჭიმჭიმელი VIს, მთახგმნელი

2022

ოთხშაბათი

იაკ 4, 13-17; ფს 48; მარ 9,38-40

მ. სტეფანე დემურიშვილის გახსენება (+1938)

ვინც ჩვენი წინააღმდეგი არ არის, ის ჩვენთან არის მარ 9,40

იესომ ის-ის იყო განუცხადა იოანეს, რომ არ არსებობს ვინმე, ვინც მას მოუხმობს, ან მისი სახელით ეშმაკებს დევნის და შემდეგ ცუდის თქმა შეეძლოს მასზე. ვინც მას რწმენით ევედრება, თუნდაც ის ჯერ კიდევ არ ეკუთვნოდეს მას, ეჭვგარეშეა, რომ გახსნილია მის მოხმობაზე და, თავის დროზე, მის ეკლესიაში შესვლაზეც. გმადლობთ, იესო, შენი გახსნილობისთვის ყველას მიმართ, ვინც შენკენ დგამს ნაბიჯს.

2022 ხუთშაბათი

იაკ 5, 1-6; ფს 48; მარ 9,41-50

იქონიეთ თქვენში მარილი და მშვიდობიანად იყავით ერთმანეთში მარ 9,50

იესო მოგვიწოდებს დღეს მივიღოთ ჩვენში მისი სიბრძნე, მისი „გემო“, რომელიც არის მამობრივი და ძმური სიყვარული. ის მოგვიწოდებს, დავეუფლოთ გულს, თვალებს, პირს, მთელ სხეულს, რათა მისი სიტყვის მიხედვით ვიცხოვროთ. ჩვენი სხეულიც ემსახურება სიმშვიდის დათესვას, მამის სიყვარულისა და ძის მშვენიერების გამოვლენას!

25 თებერვალი

2022

(12.II) წმ. ღიხსი პხოხოხე,
იეხუსაღემის ჯვხის მონასტხის ამშენებეღი, XIს

პარასკევი

იაკ 5,9-12; ფს 102; მარ 10,1-12

ვინც თავის ცოლს
გაუშვებს და სხვას შეირთავს,
იგი მრუშობს მის მიმართ მარ 10,11

იესო პასუხობს თავის მოწაფეებს, რომლებიც ეკითხებიან მას ქორწინების შესახებ, მას შემდეგ რაც მან უპასუხა ფარისევლებს იმავე თემაზე. ღმერთის გეგმა არ არის ცოლის გაშვება და სხვაზე დაქორწინება. ვინც ამას აკეთებს, გარდა ცალკეული შემთხვევებისა, უარყოფს უფლისგან მიღებულ კურთხევას, იძლევა ცუდ მაგალითს და ზიანს აყენებს მთელ საზოგადოებას, დაწყებული საკუთარი თუ სხვისი შვილებით.

26 თებერვალი

2022 შაბათი

იაკ 5, 13-20; ფს 140; მარ 10,13-16

ბევრი რამ შეუძლია
მართლის ძლიერ ლოცვას იაკ 5,16

ამას ეუბნება წმიდა იაკობი ძმებს, რომლებიც ცოდვებისთვის შენდობას ითხოვენ და ერთმანეთისთვის ლოცულობენ, მოუწოდებს ხუცესებს ზეთით სცხონ ავადმყოფებს. ახალგაზრდა დაქორწინებულ წყვილს, რომლებსაც სურვილის მიუხედავად შვილები არ უჩნდებოდათ, სნეულთა ზეთისცხების შემდეგ ორი შეეძინათ. ლოცვის ულამაზესი ნაყოფი პატიება და შერიგებაა.

27 თებერვალი

რიგითი VIII კვირადღე, «გ», [IV], მწ

2022 კვირა

ზირ 27,5-8; ფს 91; 1კორ 15,54-58; ლკ 6,39-45

ყოველი ხე თავისი ნაყოფით შეიცნობა ლკ 6,44

იესო გვასწავლის, ვიყოთ თავმდაბლები და არავინ განვსაჯოთ. ის თავად არ მოსულა დედამიწაზე განსასჯელად, არამედ ადამიანთა სახსნელად. ჩვენ მასთან ვიქნებით შეერთებულნი, რათა გამოვიღოთ კარგი ნაყოფი მამა ღმერთის სადიდებლად. კარგი ნაყოფია დაეხმარო ვინმეს იპოვოს იესო და შეუერთდეს მას.

2022 ოხშაბათი

1პეტ 1, 3-9; ფს 110; მარ 10,17-27

ღვთისათვის ყოველივე
შესაძლებელია მარ 10,27

ღვთისათვის ისიც კია შესაძლებელი, რომ
მდიდრები, რომლებიც თავიანთი ქონება აქვთ
გულის განძად, შეუყვარდეთ იესო. და ის იქცევა
მათთვის განძად!